ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №23

ქ. რუსთავი 23 თებერვალი2022 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ჯეობიტი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზაზა მაღლაკელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერების, საოფისე აპარატურის. სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება CPV(5030000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200.0 (ათასორასი) ლარს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.3. დაფინანსების წყარო: 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (სუბსიდია).

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. რუსთავი მეგობრობის გამზირის მ\ტ

4.2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საქმის კურსში დროულად ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობისას.

გ) ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით აუნაზრაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე,

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება,

ბ) დროულად და საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას მომსახურების გაწევისას გამოვლენილი ხარვეზები.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

6.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს გაერთიანების საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;

6.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია:

6.3. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება

6.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,

6.5. ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით, დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

7.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ს ოდენობით, ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება;

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

8.დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებული დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

9.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;

9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტათ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება შედგენილლია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან).

ხელშეკრულება ძალაში შედის 2022 წლის 23 თებერვლიდან 2023 წლის30 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20 ს/კ 216439325 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY Date: 2022.02.24 19:29:18 +04'00'		**შპს„ჯეობიტი“** მის: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირიმ\ტ ს/კ:216406486 ბანკი: სს „ლიბერთიბანკი“; ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა: GE20LB0113128562508000 .....
გაერთიანების დირექტორი ეკატერინა ხუციშვილი		შპს„ჯეობიტი“-ს დირექტორი ზაზა მაღლაკელიძე

Zaza Maghlakelidze 35001025034

Digitally signed by Zaza Maghlakelidze
Date: 2022.02.24 17:41:15